

## თავი 9

### ნორმატული დანახარჯთა გადახრების ანალიზი

1. რეალიზაციის გადახრა გამოწვეული შეიძლება იყოს:

- ა. მასალების შეძენის ღირებულების ცვლილებით;
- ბ. სარეალიზაციო ფასის ცვლილებით;
- გ. მზა პროდუქციის თვითღირებულების ცვლილებით.

2. რეალიზაციის გადახრა შეიძლება გამოწვეული იყოს:

- ა. წარმოებული მარაგის მოცულობის ცვლილებით;
- ბ. რეალიზებული მარაგის მოცულობის ცვლილებით;
- გ. არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილით.

3. მასალების გადახრების გამომწვევი მიზეზები შეიძლება იყოს:

- ა. შედარებით მეტი ან ნაკლები წარმოების ნარჩენები;
- ბ. შესყიდვის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობის ცვლილება;
- გ. ორივე ზემოთ ჩამოთვლილი.

4. რომელი გაცხადება არის მართებული მასალის ფასის გადახრის გამოთვლისას?

მასალების ფასის გადახრა გამოითვლება:

- ა. ნორმატულ ფასად შესყიდული ფაქტობრივი მოცულობის შედარებით ნორმატულ ფასად გამოყენებულ ფაქტობრივი მოცულობასთან;
- ბ. ფაქტობრივ ფასად შესყიდული ფაქტობრივი მოცულობის შედარებით ნორმატულ ფასად გამოყენებულ ფაქტობრივი მოცულობასთან;
- გ. ფაქტობრივ ფასად შესყიდული ფაქტობრივი მოცულობის შედარებით ნორმატულ ფასად შესყიდულ ფაქტობრივი მოცულობასთან.

5. შრომის ნაყოფიერების გადახრები შეიძლება გამოწვეული იყოს:

- ა. მატერიალური სტიმულირების სქემების შემოღებით;
- ბ. შედარებით მეტი ან ნაკლები საწარმოო ნარჩენებით;
- გ. ორივე ზემოთ ჩამოთვლილით.

6. ცვლადი ზედნადები ხარჯების ღირებულების გადახრა გამოითვლება:

- ა. ნორმატული რაოდენობა X ნორმატულ ფასზე (ფაქტობრივი წარმოებისათვის) მინუს ფაქტობრივი რაოდენობა X ფაქტობრივ ფასზე;
- ბ. ნორმატული რაოდენობა X ნორმატულ ფასზე (ფაქტობრივი წარმოებისათვის) მინუს ფაქტობრივი რაოდენობა X ნორმატულ ფასზე;
- გ. ფაქტობრივი რაოდენობა X ნორმატულ ფასზე მინუს ფაქტობრივი რაოდენობა ფაქტობრივ ფასზე.

7. ცვლადი ზეღნადები ხარჯების გადახრების შესაძლო გამომწვევი მიზეზები შეიძლება იყოს:

- ა. მატერიალური სტიმულირების სქემების შემოღება და პერსონალის პრაქტიკული წრთვნა;
- ბ. არასწორი ბიუჯეტით, რომელიც დგება პერიოდის დასაწყისში;
- გ. ორივე პასუხი სწორია.

8. მუდმივი ზედნადები ხარჯების ათვისების გადახრა გვიჩვენებს:

- ა. სამუშაო ძალამ შექმნილ პროდუქციაზე მოსალოდნელზე მეტი დრო დახარჯა თუ ნაკლები;
- ბ. სამუშაო ძალამ დაგეგმილ საათებზე მეტი იმუშავა თუ ნაკლები მოცემულ პერიოდში
- გ. ორივე პასუხი სწორია

9. შრომითი დანახარჯების ფასის გადახრა გამოითვლება:

- ა. ფაქტობრივი რაოდენობა X ნორმატიულ ფასზე მინუს ფაქტობრივი რაოდენობა X ფაქტობრივ ფასზე;
- ბ. ნორმატიული რაოდენობა X ნორმატიულ ფასზე (ფაქტობრივი წარმოებისათვის) მინუს ფაქტობრივი რაოდენობა X ნორმატიულ ფასზე;
- გ. ნორმატიული რაოდენობა X ნორმატილ ფასზე (ფაქტობრივი წარმოებისათვის) მინუს ფაქტობრივი რაოდენობა ფაქტობრივ ფასზე.

ამოცანა 1.

ქვემოთ მოცემულია საწარმო “X”- ს წინა თვის ზედნადები დანახარჯი და საქმიანობის ფაქტობრივი და საბიუჯეტო დონე:

	თვის საბიუჯეტო	თვის ფაქტობრივი
<b>საქმიანობა:</b>		
ნორმატიული დრო	<u>8000</u>	<u>8400</u>
მუდმივი ზედნადები დანახარჯი:		
ხელფასები	6750	6400
მომსახურეობა	3250	3315
ცვლადი ზედნადები დანახარჯები:		
ელექტრო ენერგია	17600	20140
სახარჯი მასალა	6000	5960
დაშმარე შრომა	<u>4400</u>	<u>4480</u>
<b>მთლიანი ზედნადები დანახარჯი</b>	<b><u>38000</u></b>	<b><u>40295</u></b>

ზემოთ მოცემული საბიუჯეტო ზედნადები დანახარჯი ეფუძნება 8000 საბიუჯეტო კაცსაათს და შეიძლება ჩავთვალოთ, რომ წლის განმავლობაში განყოფილების საბიუჯეტო ზედნადები დანახარჯის დონე და საქმიანობის დონე თანაბრად იცვლება. ცვლადი ზედნადები დანახარჯი იცვლება ნორმატიული საწარმოო დროის მიხედვით.

გათვარიშვთ:

- (ა) მუდმივი ზედნადები დანახარჯის მოცულობის გადახრა.
- (ბ) მუდმივი ზედნადები დანახარჯის ღირებულების გადახრა.
- (გ) ცვლადი ზედნადები დანახარჯის ღირებულების გადახრა.

### ამოცანა 2.

საბიუჯეტო და ფაქტობრივი მონაცემები წარმოდგენილია ქვემოთ:

საბიუჯეტო მუდმივი ზედნადების დანახარჯი	120000 ლარი
საბიუჯეტო წარმოების მოცულობა (ერთეულებში)	20000
ფაქტობრივი მუდმივი ზედნადები დანახარჯი	115000 ლარი
ფაქტობრივი წარმოების მოცულობა (ერთეულებში)	21000

### გათანარიშვთ:

მუდმივი ზედნადები დანახარჯის მოცულობის გადახრა:

### ამოცანა 3.

მოცემულ თვეში ქარხანამ აწარმოა 12500 ერთეული პროდუქცია და წარმოიქმნა არახელსაყრელი შრომის ნაყოფიერების გადახრა - 11250 ლარი.

თუ ნამუშევარია 41000 საათი და ნორმატიული ანაზრაურების განაკვეთი არის 6 ლარი საათში.

### გათანარიშვთ:

რამდენი ნორმატიული საათი მიესადაგება წარმოებულ ერთეულს

#### ამოცანა 4.

პერიოდის განმავლობაში ნამუშევარია 25600 საათი. ერთი საათის ღირებულება არის 7.50 ლარი. ძირითადი შრომის ნაყოფიერების გადახრა იყო 8250 ლარი (არახელსაყრელი).

#### გათანაბრიშეთ:

რამდენი ნორმატიული საათი იქნება გამომუშავებული.

#### ამოცანა 5.

შემდგომი ინფორმაცია შეეხება აპრილში წარმოებულ “X” პროდუქციას:

	ფაქტობრივი	საბიუჯეტო
წარმოების მოცულობა	580	600
ჩადებული მასალა (კგ)	1566	1500
შესყიდული და ჩადებული მასალის ღირებულება	77515 ლარი	76500 ლარი

#### გათანაბრიშეთ:

რისი ტოლია მასალის გამოყენების გადახრა.

### ამუცანა 6.

“X” კომპანია იყენებს დანახარჯთა ნორმატიული კალკულაციის სისტემას. მის მიერ წარმოებული ნაკეთობის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

ნორმატიული სამუშაო დრო ნაკეთობაზე	24
საათში ნორმატიული შრომითი დანახარჯი	8

პერიოდის განმავლობაში წარმოებული იქნა 850 ნაკეთობა და განაკვეთის გადახრა იყო ნულის ტოლი, ხოლო ნაყოფიერების გადახრა კი – 4400 (არაზელსაყრელი).

### გათანაბრიშეთ:

რისი ტოლი იყო ფაქტობრივად ნამუშევარი სამუშაო დრო.

### ამუცანა 7.

“X” კომპანია წარმოებისას იყენებს დანახარჯთა ნორმატიული კალკულაციის სისტემას და ბიუჯეტიდან გადახრის დასადგენად მიმართავს გადახრების ანალიზს.

პერიოდის ცვლად ზედნადებ დანახარჯთა დაკავშირებული ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

საბიუჯეტო დანახარჯი	180000 ლარ
ფაქტობრივი დანახარჯი	173800 ლარი

### სამუშაო დრო:

საბიუჯეტო	90000 საათი
ფაქტობრივი	82650 საათი

ცვლადი ზედნადები დანახარჯის შთათქმა ხდება ძირითადი სამუშაო დროის მიხედვით.

### გათანაბრიშეთ:

რისი ტოლია ცვლადი ზედნადები დანახარჯის ღირებულების, მოცულობის და მთლიანი გადახრა.

### ამოცანა 8.

შემდგომი მონაცემები შეეხება C საქონელს:

➤ C-ს ფაქტობრივი წარმოება (ერთეულებში)	700
➤ ნორმატიული შრომის ანაზღაურების განაკვეთი საათში	4.00
➤ C-ს ერთეულის საწარმოებლად საჭირო ნორმატიული დრო (საათებში)	1.50
➤ ფაქტობრივი ნამუშევარი დრო	1000
➤ ფაქტობრივი შრომის ანაზღაურების დანახარჯი	4200

### გათანაბრიშეთ:

ძირითადი შრომითი განაკვეთისა და შრომის ნაყოფიერების გადახრები.

### ამოცანა 9.

“X” – ს კომპანიას გააჩნია მუდმივი ზედნადები დანახარჯთან დაკავშირებული შემდეგ მონაცემები:

საბიუჯეტო დანახარჯი	44000
საბიუჯეტო წარმოება	8000 ერთეული
საბიუჯეტო კაცსათები	16000
ფაქტობრივი დანახარჯი	47500
ფაქტობრივი წარმოება	8450 ერთეული
ფაქტობრივი კაცსათები	16600

საწარმოში გამოიყენება დანახარჯთა სრული განაწილებით კალკულაციის სისტემა, რომელიც ეფუძნება ნამუშევარ დროს.

### **გათანარიშვთ:**

მუდმივი ზედნადები დანახარჯის მთლიანი გადახრა დანახარჯის ღირებულებისა და მოცულობის გადახრად.

### **ამოცანა 10.**

შემდგომი მონაცემები ეხება კოპანია “T” -ს იანვრის შედეგებს:

➤ ნორმატული საწარმოო დრო ერთეულზე	2 საათი
➤ ნორმატული ანაზღაურების განაკვეთი ერთეულ სთ-ზე	4.00 ლარი
➤ ფაქტობრივი წარმოება	1200 ერთ.
➤ ნორმატული მოცდენის დრო, პროცენტებში ასანაზღაურებელ დროსთან	4%-ია
➤ ფაქტობრივი ანაზღაურების დრო	2600

### **გამოვთვალით:**

შრომის ნაყოფიერების გადახრა და გაანალიზეთ მწარმოებლური შრომის ნაყოფიერებისა და მოცდენის დროს მიხედვით.

### ამოცანა 11.

კ პროდუქტის საწარმოებლად ნორმატულად გამოიყენაბა 0,4 ტონა მასალა. 1 ტონა მასალის ნორმატული ფასი არის 30 ლარი. აპრილის განმავლობაში წარმოებული იქნა 500 ერთეული და მოხმარებული იქნა 223 ტონა მასალა, რომლის ღირებულება იყო 6913 ლარი.

#### **კაიანგვარიშეთ:**

რისი ტოლია ძირითადი მასალის გამოყენების გადახრა?

### ამოცანა 12.

საბიუჯეტო რეალიზაცია

- |                               |               |
|-------------------------------|---------------|
| ➤ ფაქტობრივი რეალიზაცია       | 500 ერთეული   |
| ➤ საბიუჯეტო გასაყიდი ფასი     | 480 ერთეული   |
| ➤ ფაქტობრივი გასაყიდი ფასი    | 100 ლ         |
| ➤ ნორმატული ცვლადი დანახარჯი  | 110 ლ         |
| ➤ საბიუჯეტო მუდმივი დანახარჯი | 50 ლ ერთეულზე |
|                               | 15 ლ ერთეულზე |

1. **კაიანგვარიშეთ:** რისი ტოლია გასაყიდი ფასის გადახრა.

2. **კაიანგვარიშეთ:** რისი ტოლია რეალიზაციის მოცულობის გადახრა.

### ამოცანა 13

შპს „X“ აწარმოებს და ყიდის მხოლოდ ერთი სახის პროდუქციას. ერთეულის ნორმატული დანახარჯი და ფასი შემდეგია:

პირდაპირი „ა“ მასალა - 10 კგ. კილოგრამის ღირებულება 12ლ.	120 ლარი
პირდაპირი „ბ“ მასალა - 6 კგ. კილოგრამის ღირებულება 5ლ.	30 ლარი
პირდაპირი ხელფასი - 5სთ. საათში 8ლ.	40 ლარი
მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები	60 ლარი
მთლიანი ნორმატული დანახარჯი	250 ლარი
ნორმატული საერთო მოგება	50 ლარი

**სულ ნორმატული სარეალიზაციო ფასი** **300 ლარი**

მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯის ოდენობა, რომელიც გათვალისწინებულია ნორმატულ დანახარჯში, დაფუძნებულია მოსალოდნელ ყოველთვიურ შედეგებზე (წარმოებულ პროდუქციაზე) – 750 ერთეულზე. შპს „X“ იყენებს დანახარჯთა სრული კალკულაციის მეთოდს.

### აპრილის თვეში ფაქტობრივი შედეგები შეადგენდა:

700 ერთეულის რეალიზაცია, თითოეულის სარეალიზაციო ფასი - 320 ლ. 224000 ლარი

### პირდაპირი მასალები:

„ა“ 7500კგ.	91500 ლარი
„ბ“ 3500კგ.	20300 ლარი
პირდაპირი ხელფასი 3400 სთ.	27880 ლარი
მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯი	37000 ლარი

176680

ლარი

**საერთო მოგება** **47320 ლარი**

შენიშვნა: შპს „X“ -ს არ გააჩნია მარაგი

### მოგეთხოვებათ:

გადააწყოთ პერიოდის საბიუჯეტო მოგება ფაქტობრივ მოგებაზე და გამოთვალოთ გადახრები: სარეალიზაციო ფასის; რეალიზაციის მოცულობის; მასალის ფასის; მასალის გამოყენების; შრომის ანაზღაურების განაკვეთის; შრომის ნაყოფიერების; მუდმივი ზედნადები ხარჯების ღირებულებისა და მუდმივი ზედნადები ხარჯების მოცულობის.

### ამოხსნა:

